

ელდარ შენგელაიას საიუბილეო საღამო „ბანკ კონსტანტას“ სკონსორობით

პრესრელიზი

„ბანკ კონსტანტას“ სკონსორობით, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში 26 იანვარს, ელდარ შენგელაიას 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი „არაჩვეულებრივი გამოფენა“ გაიმართება.

დიდი ქართველი რეჟისორის, ელდარ შენგელაიას იუბილე ასე ორიგინალურად პირველად აღინიშნება, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ისეთი ცნობილი კინოსცენარების ორიგინალები, როგორებიცაა „ცისფერი მთები“ და „შერეკილები“.

გამოფენა ქართული რეალობისათვის უჩვეულო იქნება, ხელოვნების სასახლის ისტორიული ნაწილის 6 დარბაზი სწორედ რეჟისორის შემოქმედებას დაეთმობა და მთლიანად სასახლე, ქართული კინოფილმების სტილში უნიკალურად გაფორმდება.

საგამოფენო სივრცეში არამარტო კოსტიუმები, ხელნაწერები და სცენარები იქნება ექსპონირებული, არამედ ნაჩვენები იქნება ვიდეოინსტალაციები სადაც ელდარ შენგელაიას ყველაზე პოპულარული ფილმების („ცისფერი მთები“, „შერეკილები“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „სამანიშვილის დედინაცვალი“) - ყველაზე ცნობილი მომენტებია შეკრებილი და წარმოდგენილი.

საგამოფენო დარბაზებში რეჟისორის კინოფილმებიდან საუკეთესო ფოტოარქივი გამოიფინება. ასევე სასახლის ერთ-ერთ დარბაზში ფილმის გმირების პროტოტიპები დაიდგმება, რომელთაც დამთვალიერებელს სურათის გადაღების საშუალება ექნება. სასახლის ისტორიულ ნაწილში მუსიკითა და სპეციალური ეფექტებით მოხდება ელდარ შენგელაიას ფილმების გარკვეული სცენების იმიტაცია. გამოფენისთვის სპეციალურად დამზადდება კინოფილმ „შერეკილებში“ გამოყენებული საფრენი საშუალება.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის თანამედროვე საგამოფენო სივრცეში კი პარალელურად ელდარ შენგელაიას, გიორგი შენგელაიას, ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას პირადი ნივთები გამოიფინება, რომელიც ჩვენი მუზეუმის ფონდებშია დაცული.

###

საკონტაქტო პირი:

ქეთო გიორგობიანი

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

+995 32 2 401 401; +995 599 226579

ketevan.giorgobiani@constanta.ge

„ბანკი კონსტანტა“ საქართველოს კომერციულ ბანკთა რიცხვს 2008 წლის ივლისში შეუერთდა და ამით, პირველი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გახდა, რომელიც ბანკად გარდაიქმნა. კომპანია 1997 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს ქართულ ბაზარზე და საქართველოს მასშტაბით არსებული 40-ზე მეტი ფილიალისა და სერვის-ცენტრის საშუალებით სრულ საბანკო მომსახურებას უწევს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს. ბანკის საქმიანობა კიდევ უფრო გაიზარდა 2010-2011 წლებში, მას შემდეგ რაც ბანკს ახალი აქციონერები შეემატა – საერთაშორისო ინვესტორი, „ოიკოკრედიტი“ (11%) და საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი ბანკი, „თიბისი ბანკი“ (83%). დღეისათვის „ბანკი კონსტანტა“ 37 000-ზე მეტ კლიენტს ემსახურება საქართველოს მასშტაბით და მისი საკრედიტო პორტფელი 140 მილიონ ლარს აჭარბებს. „ბანკ კონსტანტა“-ს შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე: www.bankconstanta.ge